საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-33/ნ
2013 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესის დამტკიცების შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის, მე-15 და მე-18 მუხლების, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესი (დანართი №1).

მუხლი 2

ამ ბრძანებით გათვალისწინებული ნორმების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამის პასუხისმგებლობას.

მუხლი 3

ბრძანება, გარდა მე-2 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4

ბრძანების მე-2 მუხლი ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური **დავით სერგეენკო**
დაცვის მინისტრი